



# საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 54  
17/08/2016

54-06-4-201608171645



## განკარგულება N54

17 აგვისტო 2016წ.

### „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის N41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63 -ე მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ:

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

**მუხლი 1.** შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის N41 განკარგულებაში და განკარგულების მე-3 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი 3<sup>1</sup>

1. ამ განკარგულების თანდართულ დანართში გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით.

2. ამ განკარგულების თანდართულ დანართში გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი)


3. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, ამ განკარგულების თანდართულ დანართში განსაზღვრულ ადგილებზე, საარჩევნო

სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე, ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 5000 ცალით;“

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 3.** განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო